საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

MINISTER OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030157930249018

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5861 **01 / თებერვალი / 2018 წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრს ბატონ ზურაბ ალავიძეს

ბატონო ზურაბ,

2017 - 2018 წლებში ქვეყნის მასშტაბით შეიმჩნევა წითელას შემთხვევების მნიშვნელოვანი მატება: 2018 წლის 29 იანვრის მდგომარეობით, უკვე აღირიცხა წითელას 100-ზე მეტი შემთხვევა.

ასაკობრივი დინამიკის მიხედვით შემთხვევათა დიდი ნაწილი მოდის 0-5 წლამდე ასაკის ბავშვებზე და ასევე, 20-40 წლის ასაკობრივ ჯგუფზე.

საქართველოს მოსახლეობის დაცვა წითელასგან და მოსალოდნელი ეპიდაფეთქების შეკავება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებაში შეიქმნება სათანადო იმუნური ფენა. აღნიშნულის მიღწევის ერთადერთ გზას წარმოადგენს ბავშვების აცრებით მოცვის მაღალი მაჩვენებლების მიღწევა (არანაკლებ 95%) და აუცრელი ან აცრის უცნობი სტატუსის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ვაქცინაცია, რომლის ორგანიზებაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრები.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით დამტკიცებული „ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის მე-3 მუხლის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალურ სჯდ სამსახურებს ევალებათ სამოქმედო არეალში სამედიცინო დაწესებულებებში იმუნიზაციის ღონისძიებების უზრუნველყოფაზე განახორციელონ დამხმარე ზედამხედველობა და მონიტორინგი. მათ ასევე ევალებათ გამოავლინონ არავაქცინირებული ან/და არასრულად ვაქცინირებული ბავშვები ორგანიზებულ კოლექტივებში, განსაკუთრებით, სააღმზრდელო და სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში. ამისათვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებმა, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ერთად უნდა შეადგინონ აღნიშნული კონტინგენტის სახელობითი სიები და აცრების ინდივიდუალური სქემა თითოეული ბენეფიციარისთვის ვაქცინაციის სრული კურსის დასრულების მიზნით. დამატებითი ღონისძიებების პარალელურად, შეუფერხებლად, ჩვეულ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს რუტინული აცრები ეროვნულ კალენდარში განსაზღვრული ასაკების მკაცრი დაცვით.

გთხოვთ თქვენს ჩვეულ ძალისხმევას, რათა ადგილობრივი თვითმმართველობების უშუალო ჩართულობით მაქსიმალური დახმარება იქნას აღმოჩენილი მუნიციპალიტეტში მოქმედ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში.

პატივისცემით,

მინისტრი დავით სერგეენკო